

### შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი

საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. მინიმალური სასურსათო კალათა არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერჯიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის №111/ნ ბრძანების შესაბამისად. (იხ. ცხრილი 1).

თავდაპირველად ხდება მინიმალური სასურსათო კალათის მთელი შემადგენლობის ღირებულების დათვლა საქართველოს 5 ქალაქის ფასების საფუძველზე, რომელიც მოწოდებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ. ეს ქალაქებია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი და თელავი. თითოეულ ქალაქში სასურსათო კალათის თითოეული პროდუქტისათვის ხდება საშუალო ფასის დადგენა. შემდეგ ეტაპზე ხორციელდება თითოეული პროდუქტისათვის საშუალო ფასის გაანგარიშება მთელი ქვეყნისათვის ზემოხსენებული 5 ქალაქის გასაშუალოებული ფასების შეწონილი საშუალოს დათვლით (წონებად გამოიყენება აღნიშნული 5 ქალაქის მოსახლეობა). მიღებული ფასები წარმოადგენს თითოეული პროდუქტის საშუალო ფასს ქვეყნის დონეზე.

შემდეგ ეტაპზე ხორციელდება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულების გაანგარიშება. სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება წარმოადგენს მასში შემავალი პროდუქტების თვიურ ღირებულებათა ჯამს. ცხრილი 1-ში მოცემულია სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების დღიური ნორმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის. კალათაში შემავალი პროდუქტების თვიური ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი პროდუქტის თვიური ნორმის და ამ პროდუქტის საშუალო ფასის ნამრავლით (საშუალო ფასის გაანგარიშების მეთოდი აღწერილია ზემოთ), ხოლო თითოეული პროდუქტის თვიური ნორმა განისაზღვრება ცხრილი 1-ში მოცემული დღიური ნორმის საფუძველზე. აღნიშნული კალკულაციის შედეგად დგინდება კალათაში შემავალი თითოეული პროდუქტის ღირებულება, რომელთა ჯამი წარმოადგენს მინიმალური სასურსათო კალათის შუალედურ თვიურ ღირებულებას.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1. მიწის სასურსათო კალათის რეკომენდებული  
შეადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის

№	პროდუქციის დასახელება	დღიური მოხმარება	ცილები, გ		ცხიმები, გ		ნახშირ- წყლები, გ	ენერგია, კკალ
			ცხოვ.	მცენ.	ცხოვ.	მცენ.		
1	ხორბლის პური	250		20.5		3.2	117.2	579.6
2	ხორბლის ფქვილი	70		7.3		0.8	47.8	227.6
3	სიმინდის ფქვილი და სხვა	40		3.2		0.6	26.4	123.8
4	ლობიო	20		4.2		0.3	10.5	61.5
5	ბრინჯი	10		0.7		0.07	10.2	44.2
6	ბურღული (მანანის, წინიბურას და სხვ)	10		1.0		2.3	6.4	50.3
7	მაკარონის ნაწარმი	15		1.5		0.2	10.3	49.0
8	ძროხის და ხბოს ხორცი	40	6.2		4.5			65.3
9	ღორის ხორცი	10	1.2		3.1			32.7
10	შინაური ფრინველი	20	2.0		2.1			26.9
11	თევზი ნედლი, გაყინული	40	3.3		0.2			15.0
12	ძეხვეული	10	1.3		2.6			28.6
13	რძე	150	4.2		4.9		6.9	88.5
14	მანონი	25	0.6		0.7		0.9	12.3
15	ხაჭო	15	2.3		1.3		0.6	23.3
16	ყველი	20	4.4		5.0			63.2
17	ნადული	5	0.4		0.5		0.1	6.5

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

№	პროდუქციის დასახელება	დღიური მოხმარება	ცილიბი, გ		სნიმები, გ		ნახშირ-წყლები, გ	ენერგია, კკალ
			ცხოვ.	მკან.	ცხოვ.	მკან.		
18	კვერცი (0,5 ცალი დღეში)	24	5.5		5.0			67.0
19	ცხოველური ცხიმი (კარაქი, ერბო)	12			9.1			81.9
20	მარგარინი	7			3.8	1.7		49.5
21	ზეთი მცენარეული	10				9.9		89.1
22	თესლოვანი ხილი	50		0.3		0.3	3.9	19.5
23	კერკოვანი ხილი	50		0.4		0.2	3.8	18.6
24	სუბტროპიკული ხილი, კარალიოკი	50		0.5			3.5	16.0
25	საზამთრო, ნესვი, გოგრა	50		0.1			3.2	13.2
26	კაკალი, თხილი, მგესუმზირა	15		2.9		8.9	1.3	96.9
27	პომიდორი	50		0.4			1.4	7.2
28	ხახვი	25		0.4			2.4	11.2
29	ნიორი	7		0.4			1.4	7.2
30	ბადრიჯანი	10		0.1			0.5	2.4
31	კომბოსტო	40		0.4			1.0	5.6
32	ჭარხალი	15		0.1			0.8	3.6
33	სტაფილო	15		0.1			1.0	4.4
34	კარტოფილი	150		2.0		0.35	17.3	80.4
35	შაქარი	50					49.9	199.6

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

№	პროდუქციის დასახელება	დღიური მოხმარება	ცილიბი, გ		ცხიბი, გ		ნახშირ-წყლები, გ	ენერგეტ. ღირებ., კკალ
			ცხოვ.	მცენ.	ცხოვ.	მცენ.		
36	მურაბები და ჯემები	5					2.1	8.4
37	საკონდიტრო ნაწარმი	5	0.07	0.25	0.3	0.3	3.5	20.7
38	ღვინო სამამულო	20						0.0
39	მარილი							0.0
40	ჩაი	2						0.0
	ჯამი		31.5	46.8	43.1	29.1	334.3	2,300.0
			78.3		72.2			

სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება მრავლდება შევატრების კოეფიციენტზე, რომელიც გაანგარიშებულ იქნა ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასებისა და შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევებიდან მიღებული ანალოგიური მონაცემების შედარებით. აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენს 0.865. მიღებული რიცხვი წარმოადგენს მინიმალური სასურსათო კალათის საბოლოო ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის მოცემულ თვეში.

საარსებო მინიმუმის გასაანგარიშებლად მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0.7-ზე (საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 30%-ით). მიღებული რიცხვი წარმოადგენს მოცემულ თვეში საარსებო მინიმუმის ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.